14.02.2017

30 იანვარი 2017 წელი

<u>შეტყობინება მომსახურების მიმწოდებლის ცვლილების შესახებ</u>

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „ა-ნეტის“ (ს/კ: 404893978) (შემდგომში - **ა-ნეტი**) 100% წილის მფლობელს წარმოადგენს შპს დელტა კომმი (ს/კ: 204991795) (შემდგომში - **დელტა კომმი**). გაცნობებთ, რომ **დელტა კომმსა** და შპს „მაგთიკომს“ (204876606) (შემდგომში - **მაგთიკომი**) შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, 2016 წლის 21 ნოემბრიდან **მაგთიკომი** გახდა **დელტა კომმის** 100% წილის მფლობელი. წინამდებარე შეტყობინებით, გვსურს გაცნობოთ, რომ იგეგმება აღნიშნული კომპანიების რეორგანიზაცია, კერძოდ, ერთის მხრივ განხორციელდება **ა-ნეტის** შერწყმა (მიერთება) **დელტა კომმთან** და ამავე დროს **დელტა კომმის** კორპორატიული და საცალო მომსახურების გასაწევად საჭირო ყველა აქტივის (“**აქტივების მიწოდება**”) გადაცემა **მაგთიკომზე**.

ზემოაღნიშნული **აქტივების მიწოდების** პროცესი დასრულდება <u>2017 წლის 1 მარტს</u>. შედეგად, <u>2017 წლის 1 მარტიდან</u> **ა-ნეტი** შეწყვეტს საცალო და კორპორატიული მომსახურების (ინტერნეტის და VOIP) მიწოდებას და მომსახურებას მიწოდებას გააგრძლებს **მაგთიკომი**. შესაბამისად, **მაგთიკომი** ჩაენაცვლება **ა-ნეტს** მხარედ, თქვენსა და **ა-ნეტს** შორის გაფორმებულ მომსახურების ხელშეკრულებაში (“**მომსახურების ხელშეკრულება**”) და იკისრებს ყველა იმ ვალდებულებას და გამოიყენებს ყველა იმ უფლებას, რომელიც გათვალისწინებულია მოქმედი **მომსახურების ხელშეკრულებით**.

ასევე მოგმართავთ თხოვნით, უზრუნველყოთ თქვენს კომპანიაში დასაქმებული პირებისა და პერსონალის, რომლებიც სარგებლობენ მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული საკომუნიკაციო მომსახურებით, ინფორმირება მომსახურების მიმწოდებლის ცვლილების შესახებ.

გთხოვთ, 2017 წლის 1 მარტიდან ანგარიშსწორება აწარმოოთ მაგთიკომთან შემდეგ რეკვიზიტებზე:

შპს „მაგთიკომი“, ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ N7, საიდ.კოდი: 204876606
ვითიბი ბანკი ჯორჯიას ცენტრალური ფილიალი:
ბანკის კოდი № UGEBGE22
ა/ა GE73VT6600000000423607

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: <u>www.magticom.ge</u>, ან დარეკოთ შემდეგ ნომერზე: 422210000 ან დაუკავშირდეთ თქვენს პერსონალურ მენეჯერს.

მაგთიკომი და ა-ნეტი მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის!

შპს “ა-ნეტი”	შპს „მაგთიკომი”	შპს „დელტა კომმი“
----------	----------	----------
ჯაბა დიხამინჯია	ანდრია ზოდელავა	ზურაბ ზარიძე

აჭარის ავტონომიის ტურისტული
ობიექტების მართვის სააგენტო
შემოსული კორესპონდენცია
№ 10 14 02 2017